

## ფურცელი-ჩანართი: პაციენტის ინფორმაცია

### არიფონ® რეტარდი, აპკიანი გარსით დაფარული, პროლონგირებული მოქმედების ტაბლეტი

ინდაპამიდი

პრეპარატის მიღების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ ეს ჩანართი ბოლომდე, რადგანაც ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ ეს ფურცელი-ჩანართი, ის შეიძლება თქვენ მომავალში კიდევ დაგჭირდეთ.
- თუ თქვენ გაგიჩნდათ დამატებითი შეკითხვები მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
- ეს პრეპარატი გამოწერილია პირადად თქვენთვის. არ შეიძლება მისი გადაცემა სხვა პირებისთვის. ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ, იმის მიუხედავად, რომ მათი სიმპტომები შეიძლება ჰგავდეს თქვენსას.
- თუ თქვენ გაგაჩნიათ რაიმე გვერდითი ეფექტები, აცნობეთ მათ შესახებ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს ეხება ნებისმიერ გვერდით ეფექტებს, რომლებიც არ არის აღწერილი ამ ფურცელ-ჩანართში (იხ. განყოფილება 4).

#### ფურცელი-ჩანართის შემადგენლობა:

1. პრეპარატის არიფონ რეტარდი აღწერა და მისი გამოყენების ჩვენებები
2. რისი ცოდნაა საჭირო პრეპარატ არიფონ რეტარდის მიღებამდე
3. როგორ მიიღება არიფონ რეტარდი
4. შესაძლო გვერდითი მოქმედება
5. როგორ ინახება არიფონ რეტარდი
6. შეფუთვის შემცველობა და სხვა ინფორმაცია

1. პრეპარატ არიფონ რეტარდის აღწერა და ჩვენება მისი გამოყენებისთვის

არიფონ რეტარდი – ეს არის პროლონგირებული მოქმედების აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები, რომლებიც აქტიური ინგრედიენტის სახით შეიცავენ ინდაპამიდს.

მოცემული პრეპარატი განკუთვნილია მომატებული არტერიული წნევის (ჰიპერტენზია) შესამცირებლად მოზრდილებში.

ინდაპამიდი – წარმოადგენს დიურეზულ საშუალებას. დიურეზულების უმეტესობა ზრდის თირკმელებით გამოიშვება შარდის მოცულობას. თუმცა, ინდაპამიდი განსხვავდება სხვა დიურეზულებისგან, რადგანაც ის მხოლოდ მცირედ ზრდის თირკმელებით გამოიშვება შარდის მოცულობას.

ამავე დროს აფართოებს სისხლძარღვებს, იმისთვის, რომ სისხლს ჰქონდეს შესაძლებლობა იოლად გაიაროს მათში. ეს ხელს უწყობს არტერიული წნევის შემცირებას.

## 2. რისი ცოდნაა საჭირო არიფონ რეტარდის მიღებამდე

#### არიფონ რეტარდის მიღება არ შეილება:

- ინდაპამიდზე ალერგიის დროს, ნებისმიერ სხვა სულფონამიდზე ან ნებისმიერ სხვა ინგრედიენტზე რომელიც შედის მოცემული სამკურნალო საშუალების შემადგენლობაში (ჩამოთვლილია განყოფილებაში 6);
- თირკმლის სერიოზული დაავადების დროს; ღვიძლის სერიოზული დაავადების ან მდგომარეობის დროს, სახელწოდებით ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია (თავის ტვინის ქსოვილებში დეგენერაციული ცვლილებები)
- კალიუმის დაბალი დონის დროს სისხლში.

#### გაფრთხილებები და უსაფრთხოების ზომები:

არიფონ რეტარდის მიღებამდე გაიარეთ კონსულტაცია მკურნალ ექიმთან ან ფარმაცევტთან:

- ღვიძლის მხრივ პრობლემების არსებობისას;
- დიაბეტის არსებობისას;
- პოდაგრის არსებობისას;
- გულისცემის რითმის პრობლემის ან თირკმლის დაავადებების არსებობისას;
- მხედველობის დაქვეითების ან თვალბინების ტკივილის არსებობისას. ეს შეიძლება იყოს თვალის სისხლძარღვოვანი გარსში სითხის დაგროვების (ქორიოიდული გამონაჟონი) ან თვალშიდა წნევის მომატების სიმპტომი, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს არიფონ რეტარდი 1.5მგ მიღების დაწყებიდან რამდენიმე საათის-კვირის შემდეგ. მკურნალობის გარეშე შესაძლებელია მხედველობის დროებითი დაკარგვა. ანამნეზში პენიცილინზე ან სულფონამიდებზე ალერგიის არსებობისას, მსგავსი სიმპტომების განვითარების რისკი იზრდება.

- კუნთების მსრივ პრობლემების არსებობისას, კუნთების ტკივილის, მტკივნეული მგრძობელობის და კუნთების სისუსტის ან სპაზმების ჩათვლით.
- პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქციის გამოკვლევის აუცილებლობის დროს.

აუცილებელია გააფრთხილოთ თქვენი მკურნალი ექიმი თუ მიდრეკილი ხართ ფოტოსენსიბილიზაციური რეაქციებისკენ.

ექიმმა შეიძლება დაგინიშნოთ სისხლის ანალიზი ნატრიუმის, კალიუმის და კალციუმის დაბალი დონეების გამოსავლენად.

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ რომელიმე ზემოაღნიშნული შეიძლება გადაგხდეთ ან თუ გაქვთ მოცემული სამკურნალო საშუალების მიღებასთან დაკავშირებით ეჭვები ან კითხვები, კონსულტაცია გაიარეთ მკურნალ ექიმთან ან ფარმაცევტთან.

სპორტსმენები უნდა იყვნენ ინფორმირებულები, იმის შესახებ, რომ ეს პრეპარატი შეიცავს აქტიურ ინგრედიენტს, რომელსაც შეუძლია დადებითი რეაქციის ჩვენება დოპინგის ტესტზე.

**სხვა პრეპარატები და არიფონ რეტარდი:**

აცნობეთ თქვენს ექიმს და ფარმაცევტს, იმის შესახებ, რომ ღებულობთ ან უახლოეს წარსულში ღებულობდით, ან შესაძლოა დაიწყოთ რაიმე სხვა პრეპარატის მიღება.

არ შეიძლება არიფონ რეტარდის ერთდროული მიღება ლითიუმთან (გამოიყენება დეპრესიის სამკურნალოდ) ერთად, რადგანაც ამან შეიძლება გამოწვიოს სისხლში ლითიუმის შემცველობის რისკის გაზრდა.

აუცილებლად ჩააყენეთ საქმის კურსში მკურნალი ექიმი, თუ თქვენ ღებულობთ შემდეგ პრეპარატებს, რადგანაც მათი მიღებისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე:

პრეპარატები რომლებიც დანიშნულია გულისცემის რითმის დარღვევისას (მაგალითად, ქინიდინი, ჰიდროქინიდინი, დიჰოპირამიდი, ამიოდარონი, სოტალოლი, იბუტილიდი, დოფეტილიდი, დიგიტალისის პრეპარატები, ბრეტილიუმი);

- მენტალური დარღვევების სამკურნალო პრეპარატები, ისეთის როგორიც არის დეპრესია, შფოთვა, შიზოფრენია, და სხვ. (მაგალითად, ტრიციკლური ანტიდეპრესანტები, ანტიფსიქოზური პრეპარატები, ნეიროლეპსიური საშუალებები, როგორცაა ამისულპრიდი, სულპრიდი, ტიაპრიდი, ჰალოპერიდოლი, დროპერიდოლი),
- ბეპრიდილი (გამოიყენება სტენოკარდიის სამკურნალოდ, რომელიც იწვევს ტკივილს გულმკერდის არეში),
- ციზაპრიდი, დიფემანილი (გამოიყენება კუჭ-ნაწლავის პრობლემების სამკურნალოდ);
- ანტიბიოტიკები, რომლებიც გამოიყენება ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ, (მაგალითად, სპარფლოქსაცინი, მოქსიფლოქსაცინი, ერთრომიცინი საინექციო)
- ვინკამინი ინექციებისთვის (გამოიყენება სიმპტომური კოგნიტური დარღვევებისას ხანდაზმულ პაციენტებში, მესხიერების დაქვეითების ჩათვლით),
- ჰალოფანტრინი (ანტიპარაზიტიული პრეპარატი, რომელიც გამოიყენება მალარიის ზოგიერთი სახეობის სამკურნალოდ),
- პენტამიდილი (გამოიყენება ზოგიერთი ტიპის პნევმონიის სამკურნალოდ),
- ანტიბიოსტამინური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება ალერგიული რეაქციების სამკურნალოდ, ისეთების, როგორცაა თივის ცხელება (მაგალითად, მიზოლასტინი, ასთემიზოლი, ტერფენადინი);
- ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები, ტკივილის შესამცირებლად (მაგალითად, იბუპროფენი) ან აცეტილსალიცილის მუავას მაღალი დოზები,
- ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორები (აგფ) (ინჰიბიტორები) (გამოიყენება მაღალი არტერიული წნევის და გულის უკმარისობის სამკურნალოდ),
- საინექციო ამფოტერიცინ B, (სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები),
- ორალური კორტიკოსტეროიდები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა მდგომარეობების სამკურნალოდ, ასთმის და რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმების ჩათვლით.
- მასტიმულირებელი საფაღარათე საშუალებები,
- ბაკლოფენი (გამოიყენება კუნთების რიგიდობის სამკურნალოდ, ისეთი დაავადებების დროს, როგორცაა მრავლობითი სკლეროზი),
- ალოპურინოლი (პოდაგრის სამკურნალოდ)
- კალიუმის შემნახველი დიურეზიკები (ამილორიდი, სპირონოლაქტონი, ტრიამტერენი);
- მეტფორმინი (გამოიყენება დიაბეტის სამკურნალოდ),
- იოდის შემცველი საკონტრასტო პრეპარატები (გამოიყენება გამოკვლევის ჩატარებისას რენტგენის სხივებით),
- კალციუმის ტაბლეტები ან სხვა კალციუმის შემცველი დანამატები,
- ციკლოსპორინი, ტაკროლიმუსი, ან იმუნური სისტემის დამთრგუნველი სხვა პრეპარატები, რომლებიც ინიშნება ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემდეგ, აუტოიმუნური, დაავადებების ან მწვავე ფორმის რევმატიზმის ან დერმატოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ.

- ტეტრაკოზაქტიდი (გამოიყენება კრონის დაავადების სამკურნალოდ);
- მეთადონი (გამოიყენება ნარკოდაამოკიდებულების სამკურნალოდ)

### **ორსულობა და ძუძუთი კვება:**

თუ თქვენ ხართ ორსულად ან კვებაზე ძუძუთი, ფიქრობთ, რომ დაორსულდით ან გეგმავთ ორსულობას, გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან ან ფარმაცევტთან, მანამ სანამ დაიწყებთ მოცემული სამკურნალო საშუალების მიღებას.

მოცემული სამკურნალო საშუალების მიღება ორსულობის განმავლობაში რეკომენდებული არ არის. თუ დაგეგმილია ორსულობა ან დასტურდება, აუცილებელია უფრო სწრაფი გადასვლა ალტერნატიულ მკურნალობაზე. გთხოვთ შეატყობინოთ ექიმს თუ ხართ ორსულად ან აპირებთ დაორსულებას.

პრეპარატის აქტიური ინგრედიენტი გამოიყოფა ლაქტატში. მოცემული პრეპარატის გამოყენება რეკომენდებული არ არის ლაქტაციის პერიოდში მყოფი ქალებისთვის.

### **ავტორტრანსპორტის და მექანიზმების მართვა:**

არტერიული წნევის დაწვევის გამო, მოცემულმა სამკურნალო საშუალებამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი გვერდითი ეფექტები, როგორცაა თავბრუსხვევა და დაღლილობა (იხილეთ განყოფილება 4). ამ გვერდითი ეფექტების განვითარება უფრო მეტად შესაძლებელია მკურნალობის დასაწყისში და პრეპარატის დოზის გაზრდის შემდეგ. მათი განვითარებისას საჭიროა სატრანსპორტო საშუალების მართვისგან თავის შეკავება და სხვა აქტივობებისგან რომლებიც მოითხოვს მომატებულ ყურადღებას. თუმცა, სწორი კონტროლის შემთხვევაში ასეთი გვერდითი ეფექტების განვითარება ნაკლებსავარაუდოა.

### **არიფონ რეტარდი შეიცავს ლაქტოზის მონოჰიდრატს:**

თუ თქვენ ექიმმა გითხრათ, რომ გაგაჩნიათ ზოგიერთი შექრის აუტანლობა, მაშინ ამ პრეპარატის მიღების დაწყებამდე კონსულტაცია გაიარეთ თქვენს ექიმთან.

### **3. როგორ მიიღება არიფონ რეტარდი**

პრეპარატის მიღება საჭიროა მკურნალი ექიმის ან ფარმაცევტის დანიშნულების ზუსტი შესაბამისობით. შეკითხვების განჩინის შემთხვევაში მიმართეთ მათ რჩევისთვის.

რეკომენდებული დოზა: 1 ტაბლეტი დღეში, სასურველია დილით. პრეპარატის მიღება შეიძლება კვებისგან დამოუკიდებლად. საჭიროა მისი მთლიანად გადაყლაპვა, წყლის დაყოფებით. არ დაყოთ ტაბლეტი ნაწილებად და არ დაღუჭოთ.

მაღალი არტერიული წნევის მკურნალობა, ჩვეულებრივ, გრძელდება მთელი ცხოვრება.

### **თუ თქვენ მიიღებთ რეკომენდებულზე მეტი რაოდენობით არიფონ რეტარდი:**

თუ თქვენ მიიღებთ ძალიან ბევრი ტაბლეტები, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ექიმს ან ფარმაცევტს.

არიფონ რეტარდის ძალიან დიდი დოზა შეიძლება გამოიწვიოს გულისრევა, ღებინება, დაბალი არტერიული წნევა, სპაზმები, თავბრუსხვევა, ძილიანობა, ცნობიერების დაბინდვა, თირკმელების გამომუშავებული შარდის მოცულობის შეცვლა.

### **თუ თქვენ დაგაგიწყდათ არიფონ რეტარდის მიღება:**

თუ თქვენ დაგაგიწყდათ პრეპარატის რიგითი დოზის მიღება, მომდევნო დოზა მიიღეთ ჩვეულებრივ დროს, არ მიიღოთ ორმაგი დოზა, გამოტოვებული დოზის კომპენსაციისთვის.

### **თუ თქვენ წყვეტთ არიფონ რეტარდის მიღებას:**

იქედან გამომდინარე, რომ მაღალი არტერიული წნევის მკურნალობა გრძელდება მთელი ცხოვრება, პრეპარატის მიღების შეწყვეტამდე საჭიროა თქვენს მკურნალ ექიმთან კონსულტაცია.

თუ თქვენ მოცემული სამკურნალო საშუალების მიღებასთან დაკავშირებით გაგინდათ დამატებითი კითხვები, მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

### **4. შესაძლო გვერდითი მოქმედება**

ისევე როგორც სხვა ყველა სამკურნალო საშუალებამ, ამ პრეპარატმაც, თუმცა არა ყველა პაციენტში, შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი ეფექტები.

### **შეწყვეთით სამკურნალო პრეპარატის მიღება და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ნებისმიერი შემდეგი გვერდითი ეფექტის განვითარების შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა აღმოჩნდეს სერიოზული:**

- ანგიონევროზული შეშუპება ან/და ჭინჭრის ციება. ანგიონევროზული შეშუპება ხასიათდება კიდურების, კანის საფარველების ან სახის შეშუპებით, ტუჩების და ენის შეშუპებით, ხორხის და სასუნთქი გზების ლორწოვნების შეშუპებით, რაც იწვევს ქოშინს და ყლაპვის გაძნელებას. თუ ეს მოხდება, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. (ძალიან იშვიათი) (განვითარების სისშირე არ აჭარბებს 10000-დან 1 პაციენტს).

- კანის მწვავე რეაქციები, რომლებიც მოიცავს კანის ინტენსიურ გამონაყარს, მთელი სხეულის ზედაპირის კანის გაწითლება, ძლიერი ქავილი, ბუშტუკების გაჩენა, კანის აქერცლვა და შეშუპება, ლორწოვანი გარსების ანთება (სტივენს-ჯონსონის სინდრომი) ან სხვა ალერგიული რეაქციები. (ძალიან იშვიათი) (განვითარების სიხშირე არ აღწერა 10000-დან 1 პაციენტს).
- სიცოცხლისთვის სახიფათო არითმია. (სიხშირე უცნობია).
- კუჭკვეშა ჯირკვლის ანთება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ინტენსიური ტკივილები, მუცლის დაზარების არეში, შეუძლოდ ყოფნის ტანხლებით. (ძალიან იშვიათი). (განვითარების სიხშირე არ აღწერა 10000-დან 1 პაციენტს).
- თავის ტვინის დაავადება, გამოწვეული ღვიძლის ფუნქციის დარღვევით \*ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია). (სიხშირე უცნობია).
- ღვიძლის ანთება (ჰეპატიტი). (სიხშირე უცნობია).
- კუნთური სისუსტე, სპაზმები, მტკივნეული მგრძობელობა ან ტკივილები, განსაკუთრებით შეუძლოდ ყოფნის დროს ან ტემპერატურის მომატებისას – ეს მდგომარეობები შეიძლება გამოწვეული იყოს კუნთური ქსოვილის უჯრედების რღვევის ანომალური პროცესით. (სიხშირე უცნობია).

განვითარების სიხშირის შემცირების მიხედვით სხვა გვედითი ეფექტები შეიძლება მოიცავდეს:  
*ხშირი (განვითარების სიხშირე არ აღწერა 10-დან 1 პაციენტს):*

- კანის ამობურცული წითელი გამონაყარი;
- ალერგიული რეაქციები, ძირითადად დერმატოლოგიური ხასიათის, პაციენტებში ალერგიული და ასთმური რეაქციების მიმართ წინასწარგანწყობით
- კალიუმის დაბალი შემცველობა სისხლში.

*არავარცვლებული (განვითარების სიხშირე არ აღწერა 100-დან 1 პაციენტს):*

- ღებინება;
- კანზე წითელი, წერტილოვანი ლაქები (პურპურა)
- სისხლში ნატრიუმის დაბალი შემცველობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუწყლოება და არტერიული წნევის შემცირება;
- იმპოტენცია (ერექციის მიღწევის და შენარჩუნების შეუძლებლობა).

*იშვიათი (განვითარების სიხშირე არ აღწერა 1000-დან 1 პაციენტს):*

- დადლილობის შეგრძნება, თავის ტკივილი, სხეულში ჩხვლეტის შეგრძნება (პარესთეზია), თავბრუსხვევა;
- დარღვევები საჭმლის მომნელებელი სისტემის მხრივ (როგორც არის გულისრევა, ყაბზობა), პირის სიმშრალე.
- ქლორიდის დაბალი შემცველობა სისხლში.
- მაგნიუმის დაბალი შემცველობა სისხლში.

*ძალიან იშვიათი (განვითარების სიხშირე არ აღწერა 10000-დან 1 პაციენტს):*

- სისხლის უჯრედების ცვლილება, როგორც არის თრომბოციტოპენია (თრომბოციტების რაოდენობის შემცირება, რაც იწვევს ადვილად განვითარებად სილურჯეებს და ცხვირიდან სისხლდენებს), ლეიკოპენია (ლეიკოციტების შემცველობის შემცირება, რაც იწვევს სხეულის ტემპერატურის აუხსნელ მომატებას, ყელის ტკივილს და გრიპის მსგავს სხვა სიმპტომებს – მათი გაჩენის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს) და ანემია (ერიტროციტების რაოდენობის შემცირება);
- სისხლში კალციუმის მაღალი დონე;
- გულისცემის არარეგულარული რითმი, დაბალი არტერიული წნევა;
- თირკმელების დაავადება;
- ღვიძლის ფუნქციის დარღვევა.

*სიხშირე უცნობია (თუ სიხშირის დადგენა შეუძლებელია მოცემული მონაცემებით):*

- გულის წასვლა;
- თუ თქვენ გაწუხებთ სისტემური წითელი მგლურა (კოლაგენური დაავადების ტიპი), შესაძლებელია გაუარესება;
- არის ცნობები ფოტომგრძობელობის რეაქციების შესახებ (კანის გარეგნული სახის ცვლილება) მზის ან ხელოვნური უტრაიისფერი სხივების ზემოქმედების შემდეგ;
- ახლომხედველობა (მიოპია);
- არამკაფიო მხედველობა;
- მხედველობის დარღვევა;
- მხედველობის სიმახვილის შემცირება, ან თვალის ტკივილი მარალი წნევის გამო (თვალის სისხლძარღვოვან შრეში სითხის აკუმულაციის შესაძლო ნიშნები (ქორიოიდული გამომავალი) ან მწვავე დახურულკუთხოვანი გლაუკომა).

- შესაძლებელია ლაბორატორიული პარამეტრების ცვლილება (სისხლის ანალიზებში), ამიტომ თქვენი მდგომარეობის შესამოწმებლად თქვენმა ექიმმა შეიძლება დაგინიშნოს სისხლის ანალიზი ჩატარება. შეიძლება განვითარდეს ლაბორატორიული მონაცემების შემდეგი ცვლილებები:
  - შარდშეავას შემცველობის გაზრდა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ან გააუარესოს პოდაგრა (სახსრების ტკივილი, განსაკუთრებით ფეხების),
  - დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში, სისხლში გლუკოზის შემცველობის გაზრდა,
  - ღვიძლის ფერმენტების დონის მომატება,
- ანომალიები ეკგ-ზე.

**შეტყობინებები გვერდით ეფექტებზე**

თუ თქვენ აღგენიშნებათ რაიმე სახის გვერდითი ეფექტი, აცნობეთ ამის შესახებ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. ეს ასევე ვრცელდება ნებისმიერ გვერდით ეფექტზე, რომელიც არ არის მითითებული ამ ფურცელ-ჩანართში.

არასასურველი გვერდითი ეფექტების შეტყობინებით, თქვენ ხელს უწყობთ პრეპარატის უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის შეგროვებას.

**5. როგორ ინახება არიფონ რეტარდი**

მოცემული პრეპარატი შეინახეთ ბაგეშეებისთვის მიუწვდომელ და უხილავ ადგილას. არ გამოიყენოთ მუყაოს კოლოფზე და კონტურულ-უჯრედულ შეფუთვაზე მითითებული ვარჯისობის ვადის ამოწურვის შემდეგ. ვარჯისობის ვადის მითითებისას, იგულისხმება მითითებული თვის უკანასკნელი რიცხვი.

ვარჯისობის ვადა: 2 წელი.

ინახება არა უმეტეს 30°C ტემპერატურაზე.

არ ჩააგდოთ წამლები კანალიზაციაში და საყოფაცხოვრებო ნაგავში. ჰკითხეთ ფარმაცევტს, თუ როგორ გათავისუფლდეთ იმ წამლებისგან რომლებიც აღარ გჭირდებათ. ეს ზომები მიმართულია გარემოს დაცვისკენ.

**6. შეფუთვის შემცველობა და სხვა მონაცემები**

**რას შეიცავს არიფონ რეტარდი:**

აქტიური კომპონენტია ინდაპამიდი. ყოველი ტაბლეტი შეიცავს 1,5 მგ ინდაპამიდს.

სხვა კომპონენტები:

- ტაბლეტის ბირთვი: სილიციუმის კოლიდური უწყლო დიოქსიდი, ჰიპრომელოზა, ლაქტოზის მონოჰიდრატი, მაგნიუმის სტეარატი, პოვიდონი;
- აკიანი გარსი: გლიცერინი, ჰიპრომელოზა, მაკროგოლი 6000, მაგნიუმის სტეარატი, ტიტანის დიოქსიდი.

**როგორ გამოიყურება არიფონ რეტარდი და შეფუთვის შიგთავსი:**

მოცემული სამკურნალო საშუალება გამოდის აკიანი გარსით დაფარული, მრგვალი, თეთრი, პროლონგირებული მოქმედების ტაბლეტების სახით. კოლოფში მოთავსებულია 30 ტაბლეტი კონტურულ-უჯრედულ (პეპ/ალუმინი) შეფუთვაში:

2 კონტურულ-უჯრედული შეფუთვა, თითოეულში აკიანი გარსით დაფარული, პროლონგირებული მოქმედების 15 ტაბლეტი, ასევე ფურცელი-ჩანართი, პაციენტის ინფორმაციით, მუყაოს კოლოფში.

**გაცემის პირობები**

სამედიცინო პრეპარატი, გაიცემა ექიმის დანიშნულებით მიღებისთვის.

**სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი და მწარმოებელი**

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი:

Les Laboratoires Servier  
 “ლე ლაბორატუა სერვიე”  
 50, rue Carnot  
 92284 Suresnes cedex France - საფრანგეთი

მწარმოებელი:

Les Laboratoires Servier Industrie <<ლე ლაბორატუა სერვიე ინდუსტრი>>  
 905, route de Saran  
 45520 Gidy -საფრანგეთი

ტექსტის საბოლოო გადახედვის თარიღი:  
01.2022

გაცემის რეჟიმი: II ჯგუფი, გაიცემა ფორმა №3 რეცეპტით